№ 247 ნოემბერი 14, პარასკევი 1886 ნოემბერი 14 პარასკევი № 247

გაზეთი ღირს			
თთვე	მან. კ.	თთვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	7 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ზუბოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, შავერდოვის საგაზეთოს, ცენტრალურსა დგრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1886 წელიწადი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1886 წელიწადი

ამ ნომერში რვა გვერდი

ქართული თეატრი

კვირას, 16 ნოემბრისთვეს,

ბანკის (არწრუნისეულ) თეატრში ქართულის დრამატიულის საზოგადოების დასისაგან წარმოდგენილი იქნება ქ-ნ ბ. ავალოვის მონაწილეობით:

I

შეშლილია

დრამა-კომედია 3 მოქმედებად ფრანგულიდამ.

II

ჯერ დაიხოცნენ

მერე დაქორწილდნენ

კომედია 2 მოქმედებად, გადმოკ. თ. რაფ. ერისთავისაგან.

მოთამაშენი: ქქ. ავალოვისა, საფაროვი-აბაშიძისა, გაბუნია-ცაგარლისა, მელიქოვისა, ბბ. აბა[illegible] რელი, [illegible] და სხვ.

დასაწყისი 7½ საათზე

ტფილისი, 13 ნოემბერი

1879 წელსა შესდგა წერა-კითხვის ქართველთა შორის გამავრცელებელი საზოგადოება. გულ-უხვობამ ქართველისამ, რა თქმა უნდა, აქაც იჩინა თავი და მრავალმა ჩვენმა დიდ-კაცობამ მოაწერა წესდებას საზოგადოებისას ხელი, ვითარცა-წევრმა დამფუძნებელმა და მით იტვირთა საზოგადოების წინაშე მოვალეობანი წევრის-დამფუძნებელისანი. ერთი უმთავრესი მოვალეობა, რომელზედაც აგებული იყო მთელი იმედი და ანგარიში ამ საზოგადოებისა, იმაში მდგომარეობდა, რომ წევრს დამფუძნებელს თვის მიერ ხელმოწერილ პირობისა მებრ უნდა ეძლია ყოველ წლივ საწევრო ფული ორი თუმანი, ან მის მაგიერ ერთხანად შეეტანა ოცდა ათი თუმანი. გარდა ამისა საზოგადოებას ჰყავს სხვა-გვარნი წევრნიც, რომელთაც წელიწადში უნდა წარედგინათ საზოგადოებისათვის ექვსი მანათი, ანუ ერთხანად ათი თუმანი. როგორცა ვსთქვით, უმთავრესი იმედი საზოგადოებისა და ანგარიში ამ ორს წყაროზედ იყო დამყარებული. მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ, ამ წყარომ ისე უხვად არ იდინა, როგორც მოსალოდნელი იყო დაპირებისამებრ. თუმცა ერთ გვარნი წევრნი და მეორე გვარნიც ბევრნი ჩაეწერნენ და ამ გზით საზოგადოებას საბუთი მიეცა წელიწადში ხუთას-ექვსასის თუმნის იმედისა, მაგრამ გულ-უხვობას ქართველისას ხელ-უხვობაც ზედ არ მოჰყვა. 1879 წლიდამ 1886 წლამდე თითქმის რვა წელიწადში საზოგადოებას შემოსვლია წევრთაგან სულ 6607 მანათი, ესე იგი, იმდენი, რამდენიც თითქმის თვითეულს წელს უნდა შემოსვლოდა, თუ რომ ქართველის ჯიბეს გამოემეტნა იმდენი, რამდენიც ქართველის გულ-უხვობამ გამოიმეტა დაპირებითა.

მართველობა საზოგადოებისა ბევრს ეცადა, რომ წევრთ თავისი პირობა აესრულებინათ: სწერა წერილები, უგზავნა კაცები, დაჰნიშნა აგენტები, რომელთაც სხვათა შორის დაავალა, რომ საწევრო ფულები თვისთა ნაცნობთა წევრთა შორის მოეკრიბნათ და ყოველმა ამ ცდამ თითქმის ამაოდ ჩაიარა. ამაოდ ვამბობთ იმიტომრომ რვა წელიწადში იმდენი ძლივს მოაგროვა, რაც თითქმის ერთს წელიწადს უნდა მოგროვილიყო, თუ კი ყოველი წევრი თავის აღთქმას და პირობას აასრულებდა. ამასობაში წევრთა დაპირებაზედ დაიმედებულმა მართველობამ იმოდენად გაშალა ხელი თვისის წმინდა, მძიმე და რთულ მოვალეობის აღსასრულებლად, რამოდენადაც რაოდენობა საწევრო ფულისა იმედს აძლევდა. გამართა ბათუმის სკოლა, რომელიც დღეს აქამომდე საზოგადოებას უზის 9226 მანათი, ბათუმის გარდა სხვა სკოლებზედ დაჰხარჯა 6250 მანათი, სახლსა, კანცელიარიასა და საქმის მწარმოებელზედ რვა წელიწადში-7247 მანათი, წიგნების ბეჭვდაზედ—726 მანათი, სასოფლო სკოლებზედ—3924 მანათი, სტიპენდიატებზედ—2291 მანათი, ბიბლიოთეკაზედ—1409 მანათი და სხვა და სხვა [illegible] მანათამდე. ამ სახით გამოდის, რომ წევრთაგან საზოგადოებას შემოსვლია მხოლოდ 6607 მანათი და თითქმის 32,000 მანათამდე კი დაუხარჯავს ამ რვა წელიწადში სხვა და სხვა საჭიროებისათვის. საიდამ და როგორ მოუხერხებია ეს მართველობას? იქიდამ მოუხერხებია, რომ საკუთარის მეცადინეობით, აქედ-იქით მიდგომით, გარჯით, თხოვნით, თუ სხვა ღონისძიებით მართველობას, გარდა წევრთაგან შემოსულ ფულისა, მოუგროვებია კიდევ 28,000 მანათამდე ფული და აქედამ გასძღოლია ხსენებულს ხარჯსა.

ჩვენ რასაკვირველია, ვერ ვიტყვით, რომ ყოველივე ეს ზემოხსენებული ხარჯი საჭირო არ იყო. არც ერთს დანახარჯს ვერ შესწამებთ, რომ უთავ-ბოლოდ და ტყუილ-უბრალოდ დახარჯული ყოფილიყოს. მაგრამ ამასთან სამართალი ითხოვს ისიცა ვსთქვათ, რომ ზოგი იმისთანა საგანია, რომლის ჯერ ხანად დაყოვნება და უკან დაყენება შესაძლო იყო. რაკი საზოგადოებას ჯერ თავით თვისით ცხოვრება არასფერზედ ჰქონდა დამყარებული, რაკი თავისი საკუთარი წყარო შემოსავლისა არ აჰჩინა და სხვის იმედზედ-და იყო, უნდა ფულებს გაჰფთხილებოდა იმოდენად, რომ მარტო დაუყოვნებელს საჭიროებაზედ მოეხმარა. ამით საზოგადოება ხუთას-ექვსას თუმანს კიდევ გადირჩენდა და ურიგო არ იქნებოდა სადღეისოდ. მაგალითებრ, საზოგადოებას რომ სტიპენდიანტები არა ჰყოლოდა და ამაზედ 2291 მანათი არ დაეხარჯა, სასოფლო სკოლებისათვის 3924 მანათის შემწეობა არ გაეწია და 2000 [illegible] თუმის სკოლაზედ რომ ჯერ ძირის ფული შეედგინა და მერე გამართნა,—დღეს ამ გზით 13,000 მანათამდე ფულს თავს მოუყრიდა და ამის სარგებლით თითქმის ბათუმის სკოლა შეინახებოდა. კიდევ ვიტყვით, რომ ამით იმისი თქმა არ გვინდა, ვითომც ყოველივე ეს მაგალითად ნაჩვენები ხარჯი საჭირო საქმეს არ მოხმარებია; საზოგადოებას რომ ღონისძიება ჰქონდეს, პირ იქით უფრო ბევრს სახარჯოს მოვსთხოვდით თვით ამ საგნებზედაც, მაგრამ რა კი წევრთა უმტყუნეს საზოგადოებასა და ამ გზით საიმედო წყარო მოსწყვიდა, ყოველს უკან დასაყენებლად შესაწყნარებელს ხარჯს უნდა მოჰრიდებოდა მართველობა და ფულს გაჰფრთხილებოდა.

საზოგადოებას ხელი შეუშალა და შეუცარა, ჩვენის ფიქრით, მარტო ერთმა გარემოებამ, სახელდობრ, იმან, რომ არც წევრთა-დამფუძნებელთა და არც ისე წევრთა არ აღუსრულეს თავისი დაპირება. რასაკვირველია, ეს ყველაზედ არ ითქმის, თვითო-ოროლა კაცმა თავისი ვალი სრულად გადუხადა საზოგადოებას: ზოგმა მით რომ ერთ ხანად შემოსატანი სრულად შემოიტანა და ზოგმა მით, რომ თავ-თავის ვადაზედ შემოაქვს თავისი საწევრო ფული ყოველ წლივ. ხოლო ამისთანა გულ-შემატკივარნი წევრნი, რომელნიც ასე პატივით ექცევიან ერთხელ მოცემულს თავიანთ პირობას, მარტო ორიოდე კაცია და სხვა უმრავლესობას კი [illegible] არ [illegible] თითქო საზოგადოების წინაშე შეწერილით დადებული პირობა იმისთანა რამ არის, რომ, კაცს ყოველთვის შეუძლიან გადუდგეს და ეს გადადგომა უკადრისობად არ ჩაეთვალოს.

ბევრი მათგანი თავსა მართლულობს და რით ჰმართლულობს თავსა,—ამაზედ შემდეგ მოვილაპარაკებთ.

ფელეტონი

ოთხი დღე

მდ. ენგურის, ცხენის-წყლის და რიონის სათავეებში.

(შემდეგი*)

ერთს გაზაფხულზე—ამბობს ძველი გარდმოცემა—ცენელებისა და ზესხველების ბაშვები მახეებს უგებდნენ თურმე ჩახართევებს „ლაცლავ დაბ“-ში. მახეების დაგების დროს ბაშვებს ჩხუბი მოჰსვლიათ და ორი ბაშვი ერთმანერთს შემოჰკდომია; ამათთვის სხვებსაც წაუხედავთ და ყველას ერთმანერთი გადაუხოციათ. ბაშვების ჩხუბს გამოუწვევია მშობლების-ცენელების და სესხველების ჩხუბიც, რომელიც რამოდენსამე წელიწადს გაგრძელებულა. ბოლოს ორთავე მხარეს სხვების შემწეობისთვის მიუმართავს: ზესხველებს ასაბიად მოუყვანიათ ოსები (მალყარიდამ) და ცენელებს სვანები. როდესაც სვანები ერთი მეორის პირ-და-პირ დამდგარან საჩხუბრად, უთქვამთ, რაზე ვაწყდებით ჩვენ ერთმანერთსო, მოდი ეს ცენელები და ზესხელები ამოვსწყვიტოთ და მათი ქონება ჩვენ დაგვრჩებაო. ორივე მხარე ამაზე დათანხმებულა; ამოუწყვეტიათ ცენა-ზესხვა, მათი ქონება ხატ-ჯვარი და სხვა განძეულება სვანებს წამოუღიათ, საქონელი ოსებს და მის შემდეგ დღემდი ცენა-ზესხვას არავინ დასახლებულა. „ლაცლავ დაბ“ი იმიტომ დაჰრქმევია, რომ ცენელები და ზესხველები ერთი მეორეს ეცილებოდნენ თურმე ამ მინდორს. ლეგენდის სიტყვით, ცენასაც და ზესხვასაც სვანებს უცხოვრიათ, რომელნიც ცენას ქართულად ლაპარაკობდნენო და ზესხვას სვანურად. ზესხვიდამ გადმოსახლებულად სთვლიან თავიანთ თავს დღეს სადადიანო სვანეთის ლაშხეთის საზოგადოებაში სოფ. ლაშხრამს და ჩიხარეშს მცხოვრებნი ერთი მოსახლე „დოლევანი“ და რამდენიმე მოსახლე კაცთა სნები (ჯანხოთელი). დოლეონი და ჯანხოთელი შეჰხვეწნიან მაშინდელს ლაშხეთის მახვშის ყანსავ ყიფიანს, რომ სამოსახლო ადგილი სადმე მიეცა. ყანსავ ყიფიანს დაესახლებინა იგინი სოფელ ახალშენის უკან ხეობაში, ლაშხეთის საზოგადოებაში სახელდობ „თხოფელიერში“; ეს ადგილი არ მოსწონებიათ და გადმოსულან ახლანდელს მათ სოფელში „ჩიხარეშში“ (ჩიხარეშ), რომელსაც ეს სახელი იმიტომ დაჰრქმევია, რომ ახლანდელი «ჯანხოთელი» მაშინ «ჩიხლაძე» ყოფილა გვარად.

ყანსავ ყიფიანი ისეთი შეძლებული ყოფილა, რომ დადიანის მთიდამ 4—5 ვერსის მანძილზედ წამოუყვანია წყალი არხით შენობებისთვის. ამ არხს ხალხი დღესაც ეძახის „ყანსავი ლილჰენარ“ (ყანსავის არხები). ყანსავ ყიფიანი დასახლებულა სოფ. ჩახარეშის თავში, სახელდობრ, „დაბიშში“. მთელი ლაშხეთი, სადაც დღეს 300 მოსახლეზე მეტი ითვლება, მისი საყმო ყოფილა. ყანსავის შთამომავალი—სოფრომა ყიფიანი, დამკარგველი თავის წინაპარის დიდება-ქონებისა ამ 4 წლის წინად მიიცვალა დიდს სილარიბეში; სოფრომას ორი შვილი, კვირია და თასი, დღესაც ცოცხლები არიან და მამაზე უარეს სილარიბეში სცხოვრობენ. უშკულში მითხრეს, რომ ყანსავ ყიფიანის ერთი შთამომავალი, ვინმე ოტია ყიფიანი, დღესაც ცოცხალიაო რაჭაში და სვანური იცისო. ყანსავ ყიფიანზე ხალხური სიმღერაა დარჩენილი სვანეთში.

ჩვენ კინაღამ დაგვავიწყდა, რომ «ლექვერარში» არის ძირი დანგრეულის ეკკლესიისა წმ. გიორგის სახელზე და შენახულა აგრეთვე ხატიც. სამის ვერსის მანძილზე ლექვერარიდამ არის ადგილი „ლაზრამი“, სადაც აგრეთვე მაღლა გორაზე დარჩენილა დანგრეული ეკკლესია წმ. გიორგის ხატით და მის სახელზე. უეჭველია, ეს ლაზრამის წმიდა გიორგი ლექვერელებს ეკუთვნოდა, თორემ ლაზრამში არც ნასახლარია და არც შეიძლებოდა აქ დასახლება ადგილის უვარგისობისა გამო (მთაა ერთობ). მკითხველს ვსთხოვ ამ ორს ადგილს „ლექვერარს“ და „ლაზრამს“ ყურადღება მიაქციოს, რადგანაც ამ ადგილებზე ქვემოთაც მოგვიხდება ლაპარაკი.

როდესაც „ლექვერარის“ მინდორი განვლეთ, ჩვენ მივედით მდ. ზესხურის პირზედ ვარჩიეთ წყლის პირად და ხან-და-ხან წყალ-და-წყალ სიარული, რადგანაც ეს უფრო გვეადვილებოდა, ვიდრე შამბში ხეტიალი.

მდ. ზესხურს ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით დიდი ქედი დასცქერის, თავის ვეებერთელა კლდე-ყინულებით და მაღალის მწვერვალებით. ამ ქედის სამხრეთის ფერდები შესანიშნავი სანადირო ადგილებია. ესრედ წოდებული ორი ფერდი „შყაბანი“ და „თვეთილდაში“ განთქმულია სვანეთში დიდრონ-რქიან ჯიხვებით. ტფილისელს მკითხველს გავახსენებ, რომ იქაურ მუზეუმში ექვსი თუ 12 წყვილი ჯიხვის რქები აქ მოკლულის ჯიხვებისაა და წამოღებულია უშკულიდამ 1863 წ. ბ-ნ რადდეს მიერ.

წყლის პირად სიარულიც მოგვბეზრ-

---

*) იხ. „ივერია“ № 245.

ახალი ამბავი

⁂ ჩვენ გადმოგვცა ერთმა ნაცნობმა, რომ მთავრობა შესდგომია გამოძიებას რკინის გზისას ვლადიკავკაზიდამ ტფილისამდე. თურმე სამი გზა უნდა გამოიძიონ, ერთი როკის ხეობაზე, მორე ფშავის-არაგვზე და არაგვის ხეობაზე და მესამე კი ვერ დაგვისახელა ამ ამბის გადმომცემმა. გამოძიება ამ სამის გზისა მთავრობას მიუნდვია ბ-ნ რიძევსკისათვის, რომელსაც დღეს სურამის მთაზედ რკინის გზისათვის გვირაბი გაჰყავს. ამ გამოძიების სახარჯოდ მთავრობას უკვე დაუნიშნავს ხუთმეტი ათასი თუმანი.

⁂ გოლოვინის პროსპექტზე ბევრს ადგილას ჰოჰი სდგას, რომელიც სახლების ეზოებიდამ გამოდის. მაგალითად, ნიკიტინის ცირკის პირ-და-პირ, ფონდოევის სახლის წინ მუდმივ რუ მოდის ამ რუს სათავე ეზოშია, სადაც სარეცხის ჰუჰყიან წყალს პირ-და-პირ მიწაზე აქცევენ და ეს ნარეცხი ქუჩაში გამოდის. ნუ თუ ძნელია ორმო გათხაროს სახლის პატრონმა სარეცხის წყლის ჩასასხმელად.

⁂ ტფილისის ქუჩებში ხშირად შეჰხვდებით დახოცილს ძაღლებს, რომელთაც პოლიცია სწამლავს. ძალიან კარგია, რომ პოლიცია თავიდამ გვაშორებს აუარებელ მატანტალა, უბინაო ძაღლებს, რომელნიც ხრო-ხრო დაიარებიან ტფილისის ქუჩებში, მაგრამ ის კი სასიამოვნო არ არის, რომ საწამლავითა ჰხოცავენ და მერე დღისით. არაფერი სასიამოვნო სანახავია, როდესაც გამვლელ-გამომვლელი მოწამლულ ძაღლების ტანჯვას უყურებს. ჯერ ერთი ესა, და მეორე კიდევ, რომ დახოცილი ძაღლები დიდხანსა ჰყრიან ქუჩებში. განა სხვა გვარად არ შეიძლება ამ საქმის მოწყობა? რატომ მაგალითს არ აიღებენ პეტერბურგიდამ, სადაც ძაღლებს კაუჰებით იჭერენ, დახურულ ეტლში ჰყრიან და მანამ დაჰხოცავენ, სახლში ინახვენ, რომელიც საკუთრად ამის გულისთვის არის აშენებული. ეს იმითაც არის კარგი, რომ, თუ ვინიცობაა შინაური ძალლი მოჰყვა და დაიჭირეს, შეიძლება პატრონი მიეიდეს ამ სახლში და წამოიყვანოს.

⁂ ტფილისის კლუბშიო, ამბობს გაზ. „კავკაზი“, ქ-ბნის ისაევის თაოსნობით 23 ნოემბერს გამართული იქმნება სატანციო საღამო, რომლის შემოსავალი დანიშნულია კავკასიის პეტერბურგელ სტუდენტების სასარგებლოდაო.

⁂ ამავე გაზეთს სწერენ დაღესტნის ოლქიდამ, რომ ქალაქ პეტროვსკში ამას წინად საზარელი მკვლელობა მოხდაო. ვილაც გიორგი არჩილოვმა მოჰკლა ქალი ო. ბ. მკვლელობის მიზეზი ყოფილა იქვიანობა. მკვლელს თითქმის 30 ალაგას დაუჭრია საცოდავი ქალი. მკვლელი როცა დაიჭირეს და ჰკითხეს, რად მოიქმედე ასეთი საქმეო, პასუხად ისა სთქვა, რომ ამ ქალმა სულ რამდენისამე დღის წინად მიღალატა და იმიტომ მოვკალიო

⁂ ტფილისში ჩამოსულა ორი აგენტი აქციონურის საზოგადოებისა ესრედ წოდებულ „Nacional Transit Company“. ეს აგენტები ფოთში ყოფილან და ადგილები გაუსინჯავთ, თუ რა გზით უნდა გაეიყვანოთ ნავთის გამყვანი მილიო. როგორც ამბობენ, საზოგადოებას „Nacional Transit Company“-ისასაც უთხოვნია მთავრობისთვის, სხვათა შორის, რომ ნება მოგვეცით ნავთის გამყვანი მილი გავმართოთო. (გაზ. «ნოვ. ობოზ.“)

⁂ ამას წინად მე-3 განყოფილების მომრიგებელ-სასამართლოში საქმე გაურჩევიათ ერთის ათის წლის ქურდისა, გიორგი ხალათოვისა, რომელსაც სულ მცირე ხანში სამჯერ ჩაუდენია ქურდობა. ქურდობისთვის დატუსაღებულს, ვადა რომ გაუთავებია დატუსაღებისა (4 თთვე), გამოსულა და ხელ-ახლად ჩაუდენია ქურდობა. მოსამართლემ ხალათოვს 8 თთვით ციხეში დაპატიმრება გარდაუწყვიტა. („ნოვ. ობოზ.“).

⁂ ამიერ-კავკასიის რკინის გზას თან-და-თან უფრო ემატება შემოსავალი. მაგალითებრ, წარსულ ოქტომბრის თთვეში 800,000 მანათამდე შემოსავალი ჰქონია, 1885 წლის იანვრის თთვეში 394,649 მანათი შემოსავალი ჰქონია, ამავე თთვეში 1886 წლის-კი 629,447 მ. წარსულს წელს ივლისში—445,425 მან. წლეულს ამავე თთვეში 706,448 მან. წარსულს წელს ოქტომბერში სულ 626,101 მანათი ფული შემოსულია.

დამაკვირდი!

ბუნებამ გარჯა საჭიროებად გაგვიხადა, საზოგადოებამ—მოვალეობად და ჩვეულებამ—სიამოვნებად. (ბუასტი)

⁑

ძალიან ცოტანი არიან იმისთანანი, რომ კეთილი შეეძლოთ და თითქმის არ არიან იმისთანანი, რომ ბოროტი არ შეეძლოთ. (გრაციანი)

⁑

მარტო შიში და ანგარება ჰქმნის ხოლმე ადამიანს ბოროტ-კაცად. (რაინალი)

⁑

სულგრძელება სვეტი არის
სიბრძნისა და ჭკვისა სახლთა,
სულ მოკლობა უბადოა,
შემოიძრცვნის მისთა ნახლთა.
(მეფე ვახტანგ VI)

⁑

მეგობარი ბევრი უნდა,
თანა-მზრახი ერთი ოდენ;
საქმეს კარგად გაიმართვენ
თუ ჭკვა ორთავ სწორად ჰკრბოდენ:
(არჩილ მეფე)

⁑

არ მიენდოთ დამღუპავს წყეულს ხვალეს,
დღეს მოხარულთ დღესვე ისიამოვნეთ!
(თ. გრ. ორბელიანი)

⁑

რა ხელს ჰკრის პატივს ნაზი ბულბული
გალიაშია დატყვევებული?
(თ. ნ. ბარათაშვილი)

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

სალუსბერიმ ხმა ამოიღო თუ არა და თავის მედგარი სიტყვა წარმოსთქვა, ავსტრიიდამ კალნოკიმ მაშინვე ხმა მისცა. ამ ორთა მინისტრთა სიტყვით გამოლაშქრება რუსეთს, რასაკვირველია, ძალიან ეწყინა, და რუსეთის ჟურნალ-გაზეთობამაც ხმას აუმაღლა.

გუშინ, მაგალითად, გაზეთი „Новости“ სალუსბერის სიტყვის გამო ამბობდა: რუსეთს ამ სიტყვის პასუხად უნდა ჯარები დაეიარაღაო, დღეს კი ცოტა უფრო დამშვიდებით ლაპარაკობს.

> თუ ევროპაში მშვიდობიანობა დაცული იქნებაო, ამბობს გაზეთი,—მხოლოდ ერთი გზაღა-არის: ავსტრიამ და ინგლისმა უნდა გულწრფელობა გამოიჩინოს, თავი დაანებონ და არ გაერივნონ ბოლგარიის საქმეში. ინგლისსა და ავსტრიას ნება არა აქვს, და, როგორც ჩვენ დარწმუნებულნი გართ, არც იმოდენა ძალ-ღონე მოსდევთ, რომ ბალკანის ნახევარს-კუნძულზე წაგვართონ ის, რაც იმდენის სისხლის დაღვრით შეგვიძენია. როგორც სალუსბერის, ისე კალნოკის სიტყვა-კი იმას გვიმტკიცებს, რომ ინგლისი და ავსტრია ძალიან თავგასულად და შეუპოვრად იქცევიან და თავისას გაიძახიან; ალბად ის აქეზებთ ამათ, რომ რუსეთი ბევრს უთმობს.

ბოლოს გაზეთს ის დასკვნა გამოჰყავს,

> რომ დროა რუსეთიც მაგრა დადგეს თავის სიტყვაზე და არაფერი დაუთმოსო. ჩვენ სრულიად დარწმუნებულნი ვართ, რომ რუსეთის ერთი გარდაწყვეტილი სიტყვა სრულიად ხმას ჩააკმენდინებს ვენისა და ლონდონის ორატორებსაო.

⁂

გერმანიის საოხუნჯო ჟურნალებში რუსეთს ჰხატავენ მრისხანე დევ-გმირად, რომლის წინაშე მთელი ევროპა თრთის. აი, მაგალითად, ერთს ჟურნალს რა სურათი დაუხატავს:

> გემიდამ გადმოდის ბოლგარიის მიწა-წყალზე ქურქში გახვეული დევ-გმირი, ბეწვის ქუდით თავზე, აწეწილის წვერით და უკან ქამარში გარჭობილის მათრახით. მარცხენა ხელი დევ-გმირს წაუვლია კისერში ერთ პაწია, ხელის გულის ოდენა კაცისთვის. ეს ახალი მთავარია, რომელიც ბოლგარიის ტახტზე ასაყვანად მოუყვანია. დევ-გმირს უკან მოსდევს ფრანგი, რომელიც ქურქის ფართო ნაოჭებშია დამალული. ინგლისელი, ავსტრიელი, იტალიელი და ოსმალი შიშისგან თავ-ზარ-დაცემულნი შეჰყურებენ დევ-გმირს და ქუჩის ბიჭებივით თავ-გადაგლეჯილები მირბიან. პრუსიელიც შორს გადგომას კადრულობს, თუმცა თავ-გადაგლეჯილი კი არ მირბის. ჯიბეში ხელები ჩაუწყვია, დინჯად მიდის და თან თითქოს დასცინის თავის დამფთხალ ამხანაგებსა. სურათს ქვემოდ აწერია: ვის ეშინიან დევ-გმირისა?—ყველასაო.

⁂

ბ-ნ მიშჩერსკის ყური მოუკრავს პეტერბურგის მაღალ საზოგადოებაში და ჩაუწერია თავის „Дневникъ“-ში ბაასი იმის შესახებ, თუ როგორ ესმის ზოგჯერ „მაღალ ხარისხოვან მოხელეს“ ფინანსები, სახელმწიფო ხაზინის შემოსავალ-გასავალი. ბაასი ყოფილა მანდილოსან ა... სახლში.

> ამ მანდილოსნის ქმარიო,—მოგვითხრობს ბ-ნი მეშჩერსკი, „ტაინი სოვეტნიკია“ და, როგორც შეეფერება მის აღმატებულებას, როდესაც ფინანსებზე ლაპარაკობს, ხელებს ისრესავს და თან ამბობს: „დიახ, გასავალი აღემატება შემოსავალს და ბევრითაც აღემატებაო.“ ამას ისეთის კილოთი ამბობს, თითქოს ეს გარემოება დიდად ახარებს მის აღმატებულებასაო.
>
> — ძალიან სამწუხარო იქმნება. შენ კი თითქო კიდეც გიხარიან; ვერ გამიგია, რა არის აქ სასიხარულო,—წყრომით ეუბნება მეუღლე.
>
> — მე არ მიხარიან, მაგრამ...
>
> — დიახ. სასიხარულო აქ არაფერია,—განაგრძო მეუღლემ. თუ საქმე მართლა ასე წავიდა, შესაძლოა ასეთი აზრიც მოუვიდეთ ფიქრად: დაბალის ხარისხის მოხელეები დავითხოვეთ სამსახურიდამ, რომ ხარჯი შეგვემოკლებინა, მაგრამ არა გამოვიდა-რაო. ახლა თქვენ მოგდგებიან და დამრჩებით უადგილოდ.
>
> — არა, ამაზედ კი უკაცრავად, გნახამთ, როგორც გაჰბედავენ.
>
> — მე კი ასე მგონია, რომ სულ ტყუილია და მეტად გაზვიადებული, ვითომ ხაზინას მეტი გასავალი აქვს, ვიდრე შემოსავალიო.

სწორედ რომ დიდი ცოდნაცა სჩანს ამ სიტყვებში და დიდი გონების გამჭრიახობაც! მაგრამ იმასაც კი ნუ დავივიწყებთ, რომ ამას ამბობს მანდილოსანი და მერე მაღალის საზოგადოებისა...

უცხოეთი

ბოლგარია. გაზ. „Diritto“-ს სიტყვით, იტალია და ავსტრია-ვენგრია ვერ დამეგობრდებიან, რადგან ორივეს ერთმანერთის საპირის-პირო ინტერესები აქვთ ბოლგარიის საქმეში. არას დროს არ დასთანხმდება იტალია, რომ ავსტრია-

---

და. ხის ტოტები, რომლითაც დახლართული იყო მდინარის ორივე ნაპირი, გზას გვეკრაედნენ და ხშირად საკაფავად გვიხდებოდა. მაშინ წყალ-და-წყალ ვიარეთ. წყალი მდ. ზესხურში დიდი არ იყო, ფონად გასვლა ყველგან შეგვეძლო. ქვეითები იქა-აქა [illegible] გზას; ძროხები კი მე ჩამაბარეს წყალ-და-წყალ გასარეკად, რადგან მე ცხენით ვიყავი. ვგონებ 5—6 ვერსი ვიარეთ ამ სახით, როდესაც მდ. მარცხენა ნაპირზე გავედით. აქ კიდევ დიდი მინდორ-ველი დაგვხვდა ჩვეულებრივის შამბნარით მოცული. აქ მდ. ზესხური მარცხნივ უნდა დაგვეტოვებინა და პირ-და-პირ უნდა ავსულიყავით „ნეშკას“ უღელტეხილზე (ნეშკა—ფარეხი), საიდამაც მდ. „ხიდურის“ ხეობაში გადავიდოდით. ნეშკა სიმაღლით მაინც და მაინც დიდი არაა *), მაგრამ აღმართ-დაღმართი ძლიერ დაქანებული აქვს ნეშკას გასავალთან უერთდება ლემთქეშის ზურგი, რომელიც მდ. ზესხურის ხეობასა ჰყოფს მდ. ხიდურის ხეობიდამ. გზა ნეშკაზე არა სჩანს, მგზავრი უნდა აჰყვეს ნიაღვარის ნაკვალევს, რომელიც მწვერვალიდამ ძირამდი ჩამოსდევს ლარივით სწორად. ეს გზაც,—ან უფრო სწორედ:—ნიაღვარისაგან გაკვალული თხრილი ისეთი აღმოჩნდა, რომ ძროხებმა ფეხი ვერ მოიკიდეს. მეტი ღონე არ იყო, სხვა გზა უნდა მოგვენახა. გადუხვიეთ განზე და გაშლილს ფერდობს შევუდექით. ვიარეთ მიხვევ-მოხვევით და ბოლოს ნეშკას მწვერვალზე ავედით. აქ დაღალულ-დაქანცულებს ცოტა ხნის დასვენება გვჭირდებოდა, მაგრამ წარმოიდგინეთ, შესაფერი ვაკე ადგილი ვერ ვიპოვეთ.

დავეშვით დაღმართს, მარა რა დავეშვით: აღმართზე საქონელი უკან სცურავდა, დაღმართში კი წინ. ჩემმა ამხანაგებმა თავიანთ ძროხებს კუდებში ჩაავლეს ხელი და უკან ეწეოდნენ. სასაცილო ის იყო, რომ ხშირად ძროხა სძლევდა პატრონს და კუდში ხელ-მოკიდებული პატრონი ძროხის თავზე ყირამალა გადადიოდა. ამ შემთხვევაში თუ არც ძროხას რამე ევნო და არც პატრონს, ეს იმის წყალობით, რომ ღვარისგან ჩაღრმავებულს თხრილს, რომელშიაც ჩვენ მივდიოდით, ნაპირებზე შამბნარი მისდევდა და როცა კაცს თავისი სიმძიმე წინ წასძლევდა, და თავს ველარ დაიჭერდა, მაშინვე შამბში გადავარდებოდა და ძროხაც იქით წაიქცეოდა. როდესაც ამ ნაირი ძალა-უნებური ძუნძული გავათავეთ და ფეხის მოსაკიდებელს ადგილას მივაღწიეთ, რასაკვირველია, დავისვენეთ. საშინელს დაღლილობას ვგრძნობდით, ფეხები დაბეჟილი გვქონდა, წამ-და-უწუმ ქვების ნარტყამი, მუხლები გვეკეცებოდა, ყველანი ოფლში ვიყავით გაწურულნი. ისე მიცემდა გული, მეგონა ბუდიდამ ამომივარდება მეთქი. უარეს ყოფაში იყვნენ კიდევ საცოდავი პირუტყვები.

მონადირე გეგი ნეშკას მწვერვალზევე დაგვშორდა; იგი წვერ-და-წვერ გაჰყვა მთას ჩრდილოეთისკენ და ღამე ჩვენთან უნდა მოსულიყო. ჩვენკი დაღმართი ჩავიარეთ და ხიდურის ხეობაში დავეშვით. მდ. ხიდურის მარჯვენა ნაპირზე, გზის ახლო, ფართო მინდორია გადაშლილი. ამ მინდვრის შუა-გულში ბუჩქის მსგავსად ამოსულა ცამეტი არყის ხე, რომელთაც სიბერისაგან ნახევრად ჩამოსტეხია ტოტები. ეს არყნარი გარს არტყია სპონტიკის ქვისაგან ნაშენს, დღეს დანგრეულს, ეკკლესიას, მთავარ ანგელოზის სახელობაზე. ახლო მივედ ამ ეკკლესიის სანახავად. სამი კედელი ქვედა ტანში $1\frac{1}{2}$ საჟენის სიმაღლეზე მთელათ დარჩენილა, მეოთხე კი ცოტად ჩამონგრეულა. ნანგრევები, ალბათ გუმბათისა, შიგნით ჩაცვენილა და კედლებ შუა ადგილი ქვებით არის გამოჭედილი. ბევრი დრო აღარ მოვანდომე ეკკლესიის დათვალიერებას, რადგანაც საღამო მოახლოებული იყო და ბინაზე მივეჩქარებოდით. ამასთანავე მოიღრუბლა და ბევრ ხანს არ გაუვლია, რომ წვრილმა წვიმამ დაუშო.

მდ. ხიდურზე ფონში უნდა გავსულიყავით მარცხენა ნაპირზე. ამ მდინარესაც სათაური დიდ ქედის სამხრეთის მხარში აქვს. ხიდურის ხეობა სიგრძითაც და სიგანითაც ბევრად დიდია ზესხურისა და ყოროლდ-ცენას ხეობებზე. აგრეთვე თითონ მდინარეც. წყალი ადიდებული არ იყო, ასე, რომ ქვეითები კარგად გავიდნენ წყალში. მარცხენა ნაპირას კარგად გაშლილი ჰალა-მინდორია. ამ ჰალა-მინდორს მობმული აქვს სამი ღელე მოზრდილის წყლებით. მინდორში სამი მოდიდო ტბაც შევხვდა. ფერდობი ხიდურის ხეობისა, ნამეტურ დასავლეთისკენ—დაბურულია ხშირის გაუვალის ტყით. ძველად აქ 120 კომლი ყოფილა დასახლებული, დღეს ტყე ისე გადაჰფენია ხეობას, რომ ერთ ნანგრევსაც ველარ მიაგნობს კაცი.

მდ. ხიდურში ბევრი და კარგი კალმახი იცის. ჩვენი გზა აღმოსავლეთიდამ ჩამომავალს ღელეს მისდევდა. ამ ღელის ერთ ნაპირას, მინდორში უნდა დავბინავებულიყავით ამაღამ. დანიშნულს ადგილას ჯერ არ ვიყავით მისული, რომ თოფის ხმა მოგვესმა. ცხადი იყო, რომ თოფი გვ-

---

*) რადდეს სიტყვით 8460 ფუტია.

ას იტალიაზედ დიდი უფლება ჰქონდეს ეგეის ზღვაზედაო.

— ამბობენ, ინგლისი და გერმანია თანახმანი არიანო, რომ ბოლგარიის მთავრად მეგრელიის თავადი ნიკოლოოზი იყოსო: ეხლა მხოლოდ ავსტრი-ვენგრიაა წინაალმდეგი და არა ჰსურს თავად ნიკოლოოზის ბოლგარიის მთავრად ამორჩევაო.

— გაზ. „Neue Freie Presse“ კალნოკის ესარჩლება და ამბობს: ავსტრი-ვენგრია თავის დღეში იმის იმედზე არა ყოფილა, რომ თუ ვინიცობაა ომი ასტყდა აღმოსავლეთის საქმის გამო, გერმანია უთუოდ შემწეობას აღმოუჩენს, რადგან ჩვენ შორის მეგობრობა სუფევსო.

— გერმანიის უფროსი კონსული სოფიაში ბ-ნი სალდესნი, როგორც გაზ. ‹Temps›-ს დეპეშით აუწყებენ ბერლინითგან, მისულა გერმანიის სატახტო ქალაქში, რომ სიტყვიერად მოელაპარაკოს ბისმარკს ბოლგარიის საქმეთა მდგომარეობის გამო.

—გაზ. „Börsen-Courier“-ი სწერს: თავადი ბისმარკი დროს ელის და განზრახვა აქვს, რომ გერმანიის რეიხსტაგში სიტყვა წარმოსთქვას საგარეო პოლიტიკაზეო.

— „Politsche Correspondenz“-ს სწერენ პეტერბურგითგან: „აქაურს დიპლომატებურს წრეებში დარწმუნებულნი არიან, რომ რუსეთს ნამდვილად გარდაწყვეტილი აქვს მეგრელიის თავად ნიკოლოზის მთავრად ამორჩევაო. ის ამბავი, რომ თავადი ნიკოლოოზი ბოლგარიის სამთავრო ტახტის კანდიდატად არის დანიშნული, ყველას ესიამოვნებაო. თავადი ნიკოლოოზი სიძეა ადლერბერგისა, რომელიც მინისტრად იყო, მართლ-მადიდებელის სარწმუნოებისაა, შთამომავალია სახელოვანის მეფის გვარეულობისა,—ერთის სიტყვით, სწორედ ისეთი კაცია, როგორიც რუსეთის თავ-მოყვარეობასა და საერო ინტერესებს შეეფერება. ხოლო ის გარემოება, იკისრებს თუ არა თავადი მეგრელიისა მთავრად ყოფნას, ამ ჟამად მეტი საკითხავი და საძიებელი საქმეაო. ამ ჟამად მხოლოდ ის არის საკითხავი, რომ ის, ვინც ამორჩეულ იქმნება ბოლგარიის მთავრად, უნდა ეცადოს, რომ აღმოსავლეთ-რუმელია ხელითგან არ გამოეცალოს, ბოლგარიისაგან არ განაცალკევოს, თორემ ბოლგარიაში დიდხანს ვერ მოიკიდებს ფეხსაო. თქმა არ უნდა, რომ ახალი მთავარი ეხლა იმას არ დაუფიქრდება, თუ როგორი დამოკიდებულება ჰქონია რუმელიასთანაო. რუმელია ეხლა ბევრის მხრივ არის ბოლგარიასთან შეერთხორცებული და ძნელია, მათი ერთმანერთისაგან დაშორებაო.

— ოფიციოზურის „Gazetta di Italia“-ს სიტყვით, იტალიის ელჩი მარკიზ ორენგი იმიტომ არის ამ ჟამად სტამბოლში, სულთანი როგორმე დაიყაბულოს და ნება-რთვა გამოსთხოვოს, რომ ინგლისისა, ავსტრიისა და იტალიის შეერთებულს ფლოტს დარდანელის სრუტეში გზა მიეცეს ვინიცობაა, თუ საჭირო იქმნება, რომ ამ სახელმწიფოთ თავიანთი ქვეშევრდომნი დაიცვანო.

— ‹Times›-ის სტამბოლელი კორრესპონდენტი სწერს ამ გაზეთს: თუმცა აგერ მესამე კვირაა გადის, რაც ოსმალეთის ელჩი შაქირ-ფაშა პეტერბურგშივე უნდა დაბრუნებულიყო, მაგრამ ჯერ არაფერი ამბავია ამის გამო. ეს იმას უნდა მიეწეროსო, ამბობს კორრესპონდენტი, რომ ოსმალეთი ნებას არ აძლევს თავის ელჩს რუსეთში დაბრუნებისასა და ამითი ჰსურს ბოლო მოუღოს იმ გავრცელებულ ხმას, ვითომ ოსმალეთი ძალიან დაუახლოვდა რუსეთსა...

— გაზ. „N. wiener Tageblatt“-ის ტირნოველი კორრესპონდენტი აი რა ამბავს მოგვითხრობს: დიდ საერო კრების დროს ტირნოვოში, როცა სჯა იმ საგანზედ იყო, რომ დეპუტაცია გაეგზავნოთ ევროპიის დიდთ სახელმწიფოთ, თუ არაო, სტოიანოვი წინააღმდეგი იყო დეპუტაციის გაგზავნისა და იმას ამბობდა, რომ დეპუტაცია ამოდ დაუწყებს ძებნას ევროპასა, რადგანაც ევროპა ბოლგარიისთვის აღარ არსებობს და დაკარგულიაო; ერთად-ერთი რუსეთიღა დაგვრჩომია, სხვა არავინაო. სტოიანოვმა იმ ლოჟაზედ ხელი მიიშვირა თურმე, სადაც დიდთა სახელმწიფოთა წარმომადგენლების სეკრეტარები ისხდნენ და სთქვა: ‹აქაც, აქაც კი ვერა ჰნახავთ დიდთა სახელმწიფოთა წარმომადგენლებსაო; არ გარჯილან, არ მობრძანებულან და თავიანთ მაგივრად ვიღაც მწერლები გამოუგზავნიათო.› ამ სიტყვების შემდეგ ინგლისისა, ავსტრიისა და იტალიის სააგენტოთა სეკრეტრები, რომელნიც ლოჟაში მსხდარან, მაშინვე ამდგარან და კრებითგან გამოსულან.

ბიბლიოგრაფია

ქართული საეპისკოპოსო ენქერი ტულაში.

„მოსკოვის საიმპერატორო არქეოლოგიურმა საზოგადოებამ“ ჩვენი ისტორიკოსი, პატივცემული დ. ზ. ბაქრაძე ამოირჩია თავის წევრად და ამასთანავე გამოუგზავნა თავის მიერ გამოცემულნი შრომანი „Древности“, რომელთა შორის მე XI ტომის პირველ წიგნში მოჰყოლია ქართულის ენქერის სურათი და მისი აღწერილობა.

ხსენებულს წიგნში არის ვრცელი წერილი ‹Церковно-археологическіе памятники, хранящіеся въ ризницѣ Тульскаго архіерейскаго дома›—ტროიცკისა. აი ამ წერილშია აღწერა ქართულის ენქერისა, რომლის გასაოცრად მშვენიერი სურათი ჩართულია წიგნის ბოლოში და ქვეშ აწერია „Грузинская археологичесая палица XVII вѣка“.

ეს ენქერი მოქსოვილია მოშავმოყვითალო ფარჩეულისაგან და გაკრულია ძრიელ თხელ ატლასზე. იგი არის სწორე ოთხ-კუთხედი, რომლის ყოველი მხარე უდრის $9\frac{3}{4}$ გოჯსა. მისი პირი დაქსოვილია გრეხილ ოქრომკედით, ვერცხლით და მრავალფერ აბრეშუმეულის ძაფით. ნაპირებზე აკერია ოქრომკედის ფოჩი და კუთხეებში-კი აქვს გაკეთებული ბურთები. გარეშემო ნაპირებზე წაყვანილია განიერი არშია, რომელზედაც არის ქართული და ბერძნული წარწერა. არშიას შიგნით არიან სიმბოლიურნი გამოხატულებანი, დაყოფილნი დასდასად და მომწყვდეულნი ფიგურებში. ფიგურათა რიცხვი არის სამი.

პირველი ფიგურა ენქერის შუა გულშია. იგი არის სწორე სფერა, (кругъ) გარ შემორტყმული მიხაკის ფერ არშიით: ამ სფერის ბოლოში ჩაკერილია ვაზი, რომელიც იყოფება სამ ტოტად. ეს ტოტნიც აგრეთვე იყოფებიან რამდენსამე წვრილ ტოტებათ. ამ ტოტებისაგან დახვეულია 12 რგოლი. სფერის შუა გულში ჩაქსოვილია სახე იესო ქრისტესი ვერცხლისა და აბრეშუმის ძაფით. ხსენებულს 12 რგოლში კი ამნაირადვე ჩაქსოვილნია სახენი 12-თა მოციქულთა. ყოველ რგოლში მოციქულის გვერდით ყომრალის ძაფით ვაზის რქაზედ გამოყვანილია მტევანი და ფოთოლი. ამ ნაქსოვთა და გამოხატულებათა აზრი არის: მოხაზულობა ანუ არშია სფერისა ჰნიშნავს ქვეყნის სივრცის დასასრულს (საზღვარს) სფერის (ქვეყნის) სივრცეზედ გამოცხადდა ქრისტე, რომელმაც თავისთავზე ბრძანა: **მე ვარ ვენახი ჭეშმარიტი.** ქრისტემ თვითონვე დაადგინა ზიარება თვისის სისხლით და ხორცით სახითა ღვინისა და პურისა. ამ საიდუმლოების მაზიარებელნი შეიქმნენ პირველად მოციქულნი და ამიტომაც იგინი მოქცეულან ვაზისაგან გაკეთებულს ერთეულს შენობაში (რგოლებში). ქრისტეს სიტყვების მიხედვისამებრ ყოველ რგოლში მოციქულებთან ერთად გამოყვანილია თითო მტევანი და თითო ფოთოლი. აი იგი სიტყვები უფლისა: **მამა ჩემი მოქმედი (მევენახე) არს. ყოველმან რტომან რომელი ჩემთანა არს და არა მოიღოს ნაყოფი, აღიღოს იგი; და ყოველმან, რომელმან მოიღოს ნაყოფი, განწმიდოს იგი, რათა უფროსი ნაყოფი გამოიღოს. . მე ვარ ვენახი და თქვენ რტონი** (სახ. იოან. თ 15, მ. 1, 2, 5,

ვაზს, თავის აყვავებულის რტოებით და მტევნებით, გაუვსია სფერა. ეს ჰნიშნავს, რომ საქრისტიანო და სამოციქულო ეკკლესია გავრცელდა მთელს სოფლიოში.

მეორე ფიგურა არის ოთხ-კუთხედი, ჩახაზული სფერის გარეშემო ისე, რომ იგი სფერა მარტო ოთხს წერტილში მიეხლება ოთხ-კუთხედის მხარეებს; თავ-ბოლოში ოთხივე მხრივ თავისუფლად რჩებიან კუთხენი. ზემოთა მარცხენა კუთხეში გამოყვანილია სახე ერთ თავიან არწივისა, გაშლილის ფრთებით, მარჯვენა კუთხეში—სახე კაცისა, მხრებზე ასხია ფრთები; ხელში უჭერია წიგნი. ქვემოთა მარცხენა კუთხეში სახეა ლომისა, გაშლილის ფრთებით, კლანჭებში უკავია წიგნი; მარჯვენა კუთხეში—სახე ხბოსი გაშლილის ფრთებით, ფეხებში უჭირავს წიგნი. ესენი არიან სიმბოლიური გამოსახულებანი ოთხთა მახარებელთა. ოთხ-კუთხედის სახე ჰნიშნავს ქვეყნის ოთხს მხარეს, სადაც გავრცელდა ქრისტიანობა. არწივის გამოხატულება ჰნიშნავს მახარებელს იოანეს, კაცისა—მახარ. მათეს, ლომისა—მახ. მარკოზს და ხბოსი—მახ. ლუკას.

მესამე ფიგურა არის ჯვარი. იგი შესდგება გეზად—თან ასწორ მანძილზედ გატარებულ ხაზებისაგან, რომელიც ხსენებულ ოთხ-კუთხედის ნაპირებითგან იწყობა და მიდის ფარჩის განაპირა არშიამდე. ასე რომ ერთის შეხედვით კაცს ჰგონია, თითქო მთელი სფერა და იგი ოთხ-კუთხედი ამ ჯვარს ზედ ადევსო. ჯვრის ქვემო მხარეს ხაზებ შორის გამოყვანილია აღდგომილის ქრისტეს სახე, როდესაც უფალი მოციქულებსა და ურწმუნო თომას დაკეტილს ოთახში გამოეცხადა. ჯვრის ზემო მხარეს ნახატია ამაღლება ქრისტესი. ჯვრის შუა ნაწილში, მის მარჯვენა ფრთაში, დახატულია მოსე, მარცხენაში კი ილია, რომელიც აღტაცებულია ცისაკენ ცეცხლის ეტლით. მოსეს მხარეს, გარდა ამ წინასწარმეტყველისა, კიდევ მოჩანს მთა ნავავი ორის მწვერვალით. მთაზე მოთხრილია საფლავი, სადაც ნახევრამდის ჩაშვებულია მოსე. მის ფერხით დგას ვინმე ყრმა ნიჩბითა, თავით კი კაცი, რომელსაც გულზედ ჯვარედინად გადუწყვია მკლავები და ევედრება ღმერთსა. იგინი არიან ძენი ისრაილისანი და მოსეს დასტირიან. აქვე დევს წიგნი. მთის მწვერვალზედ არის სხვა სურათი. აქ მოსე გარემოცულია შუქითა და ანგელოსებით. სიმბოლიური მნიშვნელობა ამ უკანასკნელის სურათისა ეთანხმება იმ თქმულებას, რომელიც დაშთენილა ძველადგან, რომ მოსე დასაფლავების შემდეგ აღდგენილ და აღტაცებულ იქმნა ცად (ფლავიანე). საზოგადოდ, ჯვარი და მასზედ მყოფნი გამოხატულებანი ჰნიშნავენ, რომ ეკკლესია ქრისტესი დამკვიდრებულია ჯვარზედა და ჰსუფევს მის განუსაზღვრელ ძალითა...

ჯვარს გარე, მის ყველა მხრებს უკან, გამოსახულია რვა ექვს-ექვს ფრთიანნი ქერაბიმნი, რომელნიც აღნიშნავენ ცასა. ამ გამოხატულებას ის აზრი აქვს, რომ ქრისტეს ჯვარს ზეცათა ეკკლესია შეუერთებია ქვეცათა ეკკლესიასთან.

გიმ გაისროლა. გიერგმა ისიც კი სთქვა, რომ გეგიმ უთუოდ მოახვედრა თოფი ნადირსა, ეგ თოფის ხმაზე შეეტყობაო. დროებით დაიმედებულნი გეგის თოფის-ხმით, ჩვენ ისე მივედით ჩვენს ბინაზე, რომ არც კი შეგვიტყვია გავლილი გზა. მივედით ერთს მინდორს, გადავსწყვიტეთ აქ დამდგარიყავით. სადგომი, რასაკვირველია, არ იყო, უნდა გაგვეკეთებინა ქოხი. ადგილი ავარჩიეთ და გადავსწყვიტეთ, არყის ხეების ქვეშ დავბინავებულიყავით. მინამ ქოხს გავაკეთებდით, საჭიროდ დავინახეთ ცეცხლი დაგვენთო. ჯერ ერთი, რომ წვიმა იყო და უნდა გავმშრალ-გავმთბარიყავით, მეორეც ცეცხლის დანთება საჭირო იყო გეგისათვის, რომელიც ცეცხლის კვამლზე მოგვაგნებდა მთის წვერიდამ. ჩვენის ბინის ახლო-მახლო ბევრი გამხმარი და წაქცეული ხეები იყო. მივყავით ხელი, შეშა მოვზიდეთ და უცბად უშველებელი გროვა დავდგით შეშისა. რამდენისამე წამის შემდეგ მაღალს შამბნარში, არყის ხეების ქვეშ საკირესავით ცეცხლი ღუზღუზებდა.

დაგვრჩა გასაკეთებლად ქოხი, არც ამის გაკეთებისთვის დაგვეიყოვნებია ბევრი ხანი. ორის ნაჯახის და ხანჯლის დაკვრით, ბლომად მოვჩეხეთ ნორჩი ტოტები შტო-ფოთლებიანად არყის ხეებს, რომელთ ქვეშაც ცეცხლი გვენთო; ორის მხრით ხის სვეტები ავაყუდეთ, ზედ სიგრძე-სიგანეზე გრძელი კეტები გადავაბით ასე, რომ ქოხის ერთს კედელს არყის ხეები შეადგენდა ორს ხელოვნურად გაკეთებული, მეოთხე კედელი კი კარად დავტოვეთ. ქოხის სახურავად შამბი ვიხმარეთ. ნახევარი საათი არ გასულა, რომ ჩვენი სამ-ნაგი ქოხი ლამაზად იყო გადახურული. შიგნით ქოხის მოწყობილება სულ უბრალო იყო; კუთხეებში ეყარა ჩემის ამხანაგების სამგზავრო გუდები და ჩემი უნაგირი, ერთ გვერდზედაც თოფები გვეკიდა,—ეს იყო მთელი მორთულობა. ქვეშ კი დატკეპნილი შამბნარი გვედო, რომელსაც იმ ღამეს ლოგინის მაგიერობა უნდა გაეწია. ცხენი და ძროხები ახლო ხეებზე მივაბით და ამ ნაირად პირ მეტყველნი და პირუტყვნი ერთმანერთს შევსცქეროდით. ღამის ერთი საათი იყო გასული, და მონადირე გეგი კი ჯერ კიდევ არსად სჩანდა. ჩვენ და გეგის ისეთი პირობა გვქონდა მიცემული, რომ თუ მოჰკლავდა რასმე, რამწამს მოგვეახლოვდებოდა, ხმა უნდა მოეცა; მაშინ ჩვენთაგანი ვინმე უნდა მიჰგებებოდა. გეგის ხმის მომლოდინე, ჩვენ სმენად ვიყავით გადაქცეულნი. აი მოგვესმა გეგის ძახილი, მყისვე ჩემნი თანა-მოგზაურნი ფეხზე წამოხტნენ; ერთი მეორეს ეცილებოდა, ყველას ჰსუროდა პირველი მიჰგებებოდა გეგის; ყველას ჩემმა გიერგმა გაუსწრო, რომელსაც საჭმლის ხსენებაზე დიდი მადა გაეხსნება ხოლმე. რუსთაველის ტარიელსავით განჰქრა იგი შამბნარში, რომლის ტეხა-შრიალი რამდენსამე საჟენზე გვესმოდა. ყველას გაგვეხარდა, რომ გეგიმ ნანადირევი მოიტანა! ან კი როგორ არ გაგვეხარდებოდა! დაღალულ დაქანცულებს მშიერს კუჭზე ნანადირევის ხორცით პირის გამტკბანურება. ცოტა ხნის მოლოდინის შემდეგ გიერგი „ნამარტოევით*)“ (ნამშდაამ) დატვირთული ცეცხლთან გაჩნდა და იქვე ბრაგანი გააყრევინა არჩვს. გეგის არჩვი მოეკლა; შიგნეულობა გამოეღო და გადაეყარა; ფეხებზე ტყავი შემოეცალა, მერმე „ნასკვერით“ (წვრილი ბაწარი, რომელიც მონადირეს მუდამ თან დააქვს) შეებოჭა და ისე მოეკიდა ზურგზე. გეგის პატივისცემის ნიშნად ყველანი ფეხზე წამოვუდექით, არჩვის მოკვლა მიულოცეთ და ვისურვეთ, რომ კვლავ მრავალი არჩვი და ჯიხვი მოეკლას. გეგის კარავში საჯდომი ადგილი დავუთმეთ, ზოგმა თოფი ჩამოართო, ზოგმა ქალამნები გახადა და ფეხები დაჰბანა,—ერთის სიტყვით, ამ დროს ყველანი გეგის მოსამსახურედ გადავიქეცით. ამ ნაირად გეგიმ პირველობა წამართო, რადგანაც იმისი ხელობა—ნადირობა უფრო სასარგებლო აღმოჩნდა ამ ღამეს, მინამ ჩემი წიგნის ცოდნა. არჩვს უცბად ტყავი გააძრეს, ხორცი ასო-ასოთ გაანაწილეს. ჩვენ თან გვქონდა პატარა ქვაბი, რომელშიაც არჩვის მეექვსედი ძლივს ჩაეტია, ამიტომაც ექვსჯერ დაგვჭირდა ქვაბის გამოცვლაც; როდესაც ერთი რიგი ხორცი მოიხარშებოდა, მეორეს შემოვდგამდით. მოხარშულს ხორცს კი ვახშმობამდი ერთს ადგილას ვაგროვებდით. გავათავეთ მოხარშვაც. ჩვეულება მოითხოვს, რომ მონადირემ ყოველთვის შეალოცოს ნანადირევი, ამ წესს გეგიც ვერსად წაუვიდოდა და კიდევაც შეალოცა. ხოლო რაკი აქ, გარეთ, ყოველი საჭირო მოწყობილობა არ გვქონდა, სრული ლოცვა არ მოხერხდებოდა, ამისთვის გეგიმაც შეამოკლა ლოცვა. ჩვენ კი სრულად მოვიყვანთ, როგორც მონადირის ლოცვას საზოგადოდ სვანეთში, აგრეთვე მონადირის ზნე ჩვეულებას ნადირობის დროს.

თავისუფალი სვანი

(შემდეგი იქნება)

---

*) ნამარტევს ეძახიან ჯიხვს ან არჩვს, რომელნიც მთელს ზაფხულს მარტოდ-მარტო სცხოვრობენ, ჯოგში არ ერევიან. ნამარტევი ყოველთვის სუქნად არის.

ავტ.

ენქერის კუთხეებში, შიგ არშიაში, ჩართულია გამოხატულებანი: მარცხენაში—ღვთის-მშობლისა, მარჯვენაში—იოანე წინა მორბედისა, ქვემოთში სერაფიმისა, ზემოთში მაცხოვრისა (ამაღლებულისა ცისა მიმართ). დედა ღვთისა და წინა-მორბედი უყურებენ მაცხოვარს, ხელნი აღუპყრიათ ზემოთკენ და ლოცულობენ. აქედგან ის აზრი გამოდის, რომ ძველისა და ახალის აღთქმათა წმიდანნი შუამავლობენ ეკკლესიისათვის...

ენქერზედ მყოფ ყველა გამოსახულებათა აზრი მოკლედ გამოითქმის: ვაზი აღნიშნავს **საიდუმლო ზიარებას**; ხატნი მახარებელთა—სახარების **მლეგა-მოხილ ჭეშმარიტებას**; ჯვარი-მტკიცე სიყვარულს ქრისტიანეთა; ხატნი ქერაბიმთა, ღვთის-მშობლისა და წინა-მორბედისა—**ლოცვის ძალას.**

ყველა ამ გვარ სათნოებით, ამ გვარ სასულიერო ფარ-ხმალით აღიჭურვება ყოველი ეპისკოპოსი, მტვირთველი და შემოსილი ქართველთა ხსენებულის სიმბოლიურ ენქერითა.

ახლა გავარჩიოთ ზედ წარწერანი.

ენქერის ოთხის მხრის მიხედვით მთელი წარწერაც იყოფება ოთხსტრიქონად, რომელიც ჩაწერილია არშიებში. სამ მხარეს აწერია ბერძნულის ასო-მთავრულით, ერთ მხარეს კი ქართულ ხელ-ჩართულით.

ბერძნული ნაწერი ასრე ითარგმნება: **„შეისხ მახვილი შენი წელთა შენთა, მძლიერო, შვენიერებითა შენითა და სიკეთითა შენითა; და გარდაიცვ, და წარემართე, და ჰსუფევდი ჭეშმარიტებისათვის...** (ფსალმ. 44, გვ. 3—4).—ამ ლოცვას ჰკითხულობენ ხოლმე მაშინ, როდესაც ეპისკოპოსი იმოსავს ენქერსა.

ქართული წარწერა: **„ჩვენ მეფემან გიორგი და დედოფალმან თამარ შევამზადებინეთ ენქერი ესე მოსახსენებლად სულთა ჩვენთა. ამინ."**

როგორც ავტორი ზემო აღნიშნულის წერილისა მოგვითხრობს, ბ-ნს ცაგარელს ეს ქართული წარწერა მიუკუთვნებია გიორგი X-ისა *) (1600-1605) და მის მეუღლის თამარისათვის. ამ მეფეს უფრო იმიტომ მიაწერს ბ-ნი ცაგარელი, რომ მას ჰქონდა მიწერ-მოწერა რუსეთის ხელმწიფესთან და ამასთანავე მოწადინებულ იყო ასული თვისი ელენე მიეთხოვებინა მეფის ბორის გოდუნოვის ძისათვის. ალბათაო, დასძენს ბ-ნი ტროიცკი, ამ დროს იგი ენქერი ქართველთა მეფე გიორგი X-მ გამოგზავნა მოსკოვს და იქიდგან გადატანილ იქმნა ტულის არქიელის სალაროშიო..

იგივე ავტორი ამბობს, რომ ამ ენქერს გარდა კიდევ არის სხვა ენქერიც, სახელდობრ ხუტინის ვარლაამის მონასტერში, ნოვგოროდის ახლოს. ეს ენქერიც სრულიად ისრეთივეა, როგორც პირველი, იმნაირისავე ნაქსოვ-ნახატებით და ნაწერებით, როგორიც არის აღწერილს ენქერზედა.

პატივ-ცემულმა დ. ზ. ბაქრაძემ, ამ ენქერის სურათის გაშინჯვის დროს, სთქვა, რომ ამ გვართ, აზრით სავსე, ხატებათა ჰქსოვდენ ხოლმე ქალები დიდის გვარისანი და მეფეთა და ბატონიშვილთა ასულნიო...

ჩვენის მხრით დაუმატებთ, რომ არა ერთი და ორი ამ გვარი და, ვინ იცის, ამაზედაც უძვირფასესნი ნივთნი დაგვეკარგეია,—ნივთნი, ფრიად შესანიშნავნი ქართველთა ძველის ხელოვნების და მხატვრობის შესატყობლად და შესამეცნებლად ..

მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა საქართველოს ექსარხოსი პაველ, ტფილისის სიონის ტაძრის ერთ-ერთ სადგურში აარსებს მუზეუმს ძველ ნივთებისთვის. ამ მუზეუმის გამგებლობას და ხელმძღვანელობას, როგორც ჩვენ შევიტყეთ, აბარებს ბ-ნს დ. ზ. ბაქრაძეს. იმედია, ამის შემდეგ მაინც, ყოველგვარნი საჭირო და საყურადღებო ნივთნი ისრე აღარ გაიბნევიან და წარიტაცებიან, როგორც აქამდე.. ღმერთმა ჰქმნას, რომ კეთილი აზრი მუზეუმის დაარსების შესახებ მალე სისრულეში მოსულიყოს.

ესომ

---

*) მეფე საქართველოსა გიორგი X, მაჰმადიანობის მიუღებლობისაგამო, შაჰ აბასმა მოაწამვლინა შხამითა და მოჰკლა (1605 წელს).

* * *

დეპეშა

12 ნოემბერს

ᲝᲓᲔᲡᲐ. ცეცხლის გემით „Забiяка" ოდესაში მოვიდნენ: რუსეთის კონსული ბურგასიდამ ემელიანოვი სახლობითურთ, კაპიტანი ნაბოკოვი, პოდპორუჩიკი ზალევსკი და შვიდი სამშობლოდამ გამოდევნილი ბოლგარი.

ᲟᲣᲠᲟᲔᲕᲝ. ინგლისის დიპლომატია სტამბოლში წინააღმდეგია იმ კანდიდატისა, რომელსაც რუსეთი ურჩევს ოსმალეთს, და ამის მაგიერ ცდილობს საქმე ასე მოახერხოს: ბოლგარია ისევ ოსმალეთის დამოკიდებულ სამთავროდ დარჩეს და სულთანი მხოლოდ სახელით იწოდებოდეს ბოლგარიის მთავრად.

13 ნოემბერს

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲑᲘ. „Journal de St.-Pètersbourg"-ი გვაუწყებს, რომ რუსეთის ქვეშევრდომნი ბოლგარიაში გერმანიის მფარველობას, მაიჩემესო, ხოლო აღმოსავლეთ რუმელიაში, სადაც გერმანიის კონსულები არა ჰყავს, საფრანგეთის მფარველობის ქვეშ იქმნებიანო.

* * *

ᲡᲐᲙᲐᲚᲔᲜᲓᲐᲠᲝ ᲪᲜᲝᲑᲐᲜᲘ

ქრისტეს აქედ ჩყპვ (1886) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7394**.
ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უჱო=478 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მბ=42 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1886 წლის ზედ-ნადები—3.

ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ 30 დღით არის.

14 დღე პარასკევი. წმ. მოციქ. ფილიპპე, იუსტინიანე მეფისა. აღების-ღამე შობის მარხვისა. კათოლ. წმ. მოწ. პაპა მარტინ 1-ლისა. სომეხ. მარხვაა. დაბადება მისის იმპერატორებითის უდიდებულესობისა იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასულისა, 1847 წ. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—47—30. ტფილისში მზე ამოდის 7—1, ჩადის 4—33; მთვარე ამოდის 7—16, ჩადის 5—13. შობა მთვარისა 2 საათსა და 23 წუთზედ დილით.

15 დღე შაბათი. წმ. გურია, სამონ და აბიბოსი. დასაწყისი შობის მარხვისა. კათოლ. წმ. ქალწ. გერტრუდასი სომეხ. წმ. მოციქ. ანდრიასი და ფილიპპესი. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—47—50. ტფილისში მზე ამოდის 7—2, ჩადის 4—32; მთვარე ამოდის 8—25, ჩადის 6 4.

16 დღე კვირა. წმ. მოციქულ-მახარებელ მათესი. სომეხ. აღების-ღამე ჰისნაკის მარხვისა. მუსულ. დაბადება წინასწარ-მეტყ. მაჰმადისა (შიიტებს). ჭეშმარიტი შუა-დღე 11—48—11. ტფილისში მზე ამოდის 7—3, ჩადის 4—32; მთვარე ამოდის 9—22, ჩადის 6—54.

17 დღე ორშაბათი. წმ. გრიგოლ საკვირ.-მოქმედ. და მოწ. გობრონისა, კახეთის თავადისა და 133 სხვათა. კათოლ. წმ. ქალწ. სალომესი. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—48—32. ტფილისში მზე ამოდის 7—5, ჩადის 4—31; მთვარე ამოდის 10—12, ჩადის 7—49.

18 დღე სამშაბათი. წმ. პლატონ, რომანოზ და მეზვერე ზაქესი. კათოლ. კურთხევა წმ. პეტრე და პავლეს ეკკლესიისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—48—54. ტფილისში მზე ამოდის 7—6, ჩადის 4—31; მთვარე ამოდის 10—55, ჩადის 8—46.

* * *

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ:

ბათუმიდამ გადის: ოთხშაბათობით 4 ს. ნაშუადღ. მოკლე გზით, რადგან მარტო ნოვოროსიისკს და კერჩში შეივლის შორის გზით. შაბათობით 8 საათ. საღამოზე (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამეს შორის გზით, მოკლეს გზით—დილით.

შაბათობით სტამბოლიდამ მოდის დილით.

* * *

ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲦᲔᲑᲘ ᲪᲜᲝᲑᲐᲜᲘ

ნიხრი

1 ნოემბრიდამ 1 დეკემბრამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ.	5	კაპ.
წითელი პური 1-ის ხარისხისა .	3	
› 2 ›	2½	›
თონის წითელი პური 1-ის ხარის.	5	›
› › 2—	3½	›
› › 3 ›	3	›
ჯვარის მამის პურის ლავაში		
1-ლის ხარისხისა . .	5	›
მე-2 ხარისხისა . .	4	›
მე-3 — . . .	3½	›
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა.	7	›
‹ 2 ›	6	›
სუკი	13	›
ცხვრის ხორცი . . .	6	›
ღორის ხორცი 1-ის ხარისხისა.	6	›
› 2 ›	5	›

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲑᲘᲡ ᲑᲘᲠᲟᲐ, 11-Ს ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲡ 1886 Წ.

ᲤᲐᲡᲔᲑᲘ:

	მსყიდველისა	გამსყიდველისა	გაყიდულისა
ხუთ მანათიანი ოქრო	—	—	8 მ. 63½
ტამოჟნის კუპონები.	—	—	167 მ.ნ.
5% პირველის შინაურის სესხის მოგები ბილეთი	—	—	239¼ მან.
— მეორისა	—	—	221 მ.
გირავნობის ფურცელნი:			
ტფილისის ბანკისა	—	—	—
ქუთაისის ბანკისა	—	—	—

ქართული სამეურნეო გაზეთი

„ᲪᲘᲡᲙᲐᲠᲘ"

1887 წ. იანვრის პირველიდგან გამოვა კვირაში ორჯელ, ხუთ-შაფათობით და კვირაობით.

ᲐᲛ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ:

1) მმართებლობის განკარგულება, შესახებ მამულის შემუშავებისა და მამულის მფლობელობისა.

2) სხვა-და-სხვა ცნობები, შესახებ მეურნეობისა. აქ იქნებიან დაბეჭდილნი: ხვნა-თესვა, სოფლიური სახლოსნობა, ხვნა-თესვის იარაღის გაუმჯობესობა, ვენახების უკეთესად მოვლა და ღვინის გაუმჯობესობა; პირუტყვის მოშენება, ფუკრის მოვლა, გამრავლება და საზოგადოდ სასარგებლო მამულის შემუშავების ცნობები.

3) სახალხო ჰიგიენა. ამ ნაწილში შემოვიტანთ იმ ცნობებს, თუ რა გვარად სწამლობენ შინაურად დაჭირების დროსა.

4) ადგილობრივი კორრესპონდენციები სხვა-და-სხვა კავკასიის მხრიდამ. მომეტებით უფრო მამულების მოვლის შესახებ.

5) მოკლე მოთხრობები და ამბავები, რუსეთის სახელმწიფოს ცხოვრებიდამ.

6) ფელეტონი: მოკლე ლექსები და წერილები, როგორც ნამდვილნი, ისე ნათარგმნი, იმ გვარნი, რომელნიცა შეიცავდენ ზნეობითსა აზრებსა.

7) მოკლე ცნობები, რომელნიცა ხდებიან როგორც რუსეთში, ისე სამზღვარს გარეთ, მმართებლობის მოანბიდგან გამოკლებულნი.

8) სასმელ-საჭმლის მაზანდა ტფილისში, თუ ადგილობრივ სოფლებში. განცხადებები პალატის და ტფილისის მაზრის სამსჯავროებში დანიშნულს საქმეებზედ, და სხვა-და-სხვა განცხადებები, როგორც სახაზინო, ისე კერძო საქმეებისა, უფრო ისეთის სახაზინო საქმეებისა, რომელნიცა ნარდად (ფოდრათით) ეძლევიან გასაკეთებლად ვაჭარ ხალხსა.

ფასი „ცისკრისა".

ადგილობრივ გაგზავნით, თუ გაუგზავნელად, წელიწადში 6 მან. თვეობით ხელის-მოწერა არ მიიღება

ცალკე ნომერი „ცისკრისა" ღირება—ერთ შაურად.

ვისაცა ჰსურს ამ გაზეთის დაბარება, უნდა მიჰმართოს: 1) ტფილისში, თვითონ რედაქციას, ვერის დიდ ქუჩაზედ, წილოსანის სახლებში.

2) გრ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში, სემინარიის პირ-და-პირ, ზუბალოვის სახლებში, სადაცა არის თვითონ „ცისკრის" კანტორაცა. 3) გრიქუროვის წიგნის მაღაზიას, ხიდის ყურზედ, ზუბალოვის სახლებში.

რედაქტორი ი. კერესელიძე

დაიბეჭდა და ისყიდება გამომცემლის ზ. პ. გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში ახალი წიგნი:

ГРУЗИНСКАЯ РѢЧЬ

или начальный курсъ грузинскаго языка для русскихъ, შედგენილი მიხეილ ნასიძისაგან. ფასი 35 კაპ.

იქვე ისყიდება „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲥᲠᲘᲡᲢᲝᲛᲐᲢᲘᲐ" უმცროსს კლასებში სახმარებელი. მიხ. ნასიძისა. ფასი 70 კაპ.

ვინც დაიბარებს ნაღდს ფულზედ არა ნაკლებ ათი ეგზემპლიარისას პირდაპირ გამომცემლისაგან, მას მანათზე 20% დაეთმობა. (10—8)

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲘᲒᲜᲘ

(რუსულს ენაზედ)

„კერძო და საადგილ-მამულო უფლებანი ძველს საქართველოში". I გამოცემა. ფასი 35 კაპ. ისყიდება ტფილისის წიგნის მაღაზიებში. (50—24)

ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

დ ა ი ბ ე ჭ დ ა

რობინზონ კრუზე, თხზულება დეფოესი, თარგმანი რუსულიდგან ანასტასია თუმანიშვილისა. გამოცემა „წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოებისა."

ᲤᲐᲡᲘ ᲔᲥᲕᲡᲘ ᲨᲐᲣᲠᲘ

საწყობი წიგნისა არის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების კანცელარიაში, სათავადაზნაურო ბანკის ქვეშ, არწრუნისეულ სახლებში (подъ помѣщеніемъ Тифлисскаго Дворянскаго Земельнаго банка) ისყიდება ტფილისში: გრიქუროვისა და ჩარკვიანის წიგნთა მაღაზიებში; ქუთაისში—ძმათა ჭილაძეების და ხონში—ნესტორ წერეთლის წიგნთა მაღაზიებში. ვინც ნაღდ ფულზედ იყიდის თვით საზოგადოების კანცელარიაში არა ნაკლებ 10 ცალისა, იმას დაეთმობა წიგნი ხუთ შაურად.

ისყიდება მოსე ჯანაშვილის-მიერ შედგენილი წიგნები:

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲝᲙᲚᲔ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ

ფასი 60 კაპ.

(ეს წიგნი უმაღლესის მთავრობისაგან მოწონებულია).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲔᲙᲚᲔᲡᲘᲝ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ

ფასი 45 კაპ.

ᲛᲔᲠᲪᲮᲐᲚᲘ

ფასი 7 კაპეიკი.

შემდეგს ადგილებში: ტფილისში: გრიქუროვისა და ჩარკვიანის წიგნის მაღაზიებში და აგრეთვე შემადგენელისას. ქუთაისში: გჭილაძის მაღაზიაში. თელავში: ვ. როსტომაშვილთან; სიღნაღში: ვ. ქიტიაშვილთან; სურამში: ა. ქარსიძესთან; ფოთში: ხუმარაძესთან. ყვირილაში ბლად. დამბაშიძესთან.

ვინც 20 ცალს «ა» გამოცემისას დაიბარებს პირ-და-პირ გამომცემლისაგან (Тифлисъ Михайл. ул, Г. Д. Картвелишвили). იმას წიგნი დაეთმ [illegible] შაურად.

ქუთაისის თავად-აზნაურთ საადგილ-მამულო ბანკის გამგეობა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამ ბანკის წესდების მე-18 § ძალით ქვემო მოყვანილს დღეებს ბანკის გამგეობის სადგურში საზოგადო ვაჭრო-

ბით გასყიდულ იქმნებიან ხსენებულს ბანკში დაგირავებულნი უძრავნი მამულნი ქვემო აღნიშნულთა პირთა, შესახვედრ გარდასახადთა შემოუტანლობისა გამო.

გასყიდვა მოისპობა მხოლოდ იმ მამულებისა, რომელთა მეპატრონენი თანახმად ბანკის წესდების მე-19 § ისა, შეიტანენ ბანკის გარდასახადს და თან განცხადებათა ხარჯებს.

ვაჭრობა დაიწყება ქვემო მოყვანილის თავნი ფულიდამ ზედ დამატებით სხვა-და-სხვა შეუვსებელის გარდასახადისა, მამულის გასასყიდლად დანიშნვაზე ხარჯებისა და, საზოგადოდ, ყველა იმ ფულისა, რომელიც ბანკს თვისის მოვალის სამაგიეროდ დაუხარჯავს; ბანკის ხანგრძლივი ვალის თავნის მოსპობა შეიძლება ამავე ბანკის გირაოს ფურცლებით, რომელიც მიიღებიან სახელდობრივის ფასისა მებრ მანეთი მანეთად და აგრეთვე შეიძლება გადატანილ იქმნენ მყიდველზე; ხოლო ვადაზე გადასახადი და სხვა გვარი ბანკის სახვედრო ფული უნდა შემოტანილ იქმნენ ნაღდად.

ვისაც ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება სურსთ, მათ შეუძლიათ გასასყიდლად მამულთა აღწერილობის და საბუთების განხილვა ბანკის სამმართველოში.

თუ ეს ვაჭრობა არ შესდგა, მაშინ, ბანკის წესდების 23 § საფუძველით, ინიშნება მეორე და უკანასკნელი ვაჭრობა 30 დეკემბერს ამა 1886 წლისა.

ვაჭრობა 15 დეკემბერს 1886 წელსა.

$18^{7}/_{12}$ წლიანი სესხნი.

ქ. ქუთაისს

ვარდანაშვილისა, გიგო მახარობელის ძის: ნემეცის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვიტკირის დუქანი და მიწა 15.42 კვადრ. საქ. თავნი ვალი 358 მ. 18 კ. შესავ. გარდასახად. 59 მ. 71 კ. სულ 417 მ. 89 კ.

დარახველიძისა, მიხაილ ერასტოს-ძის: ორპირის ქუჩაზე ორი ქვითკირის სახლი—ერთი ორ სართულიანი და მეორე ერთ-სართულიანი და მიწა 312 კვადრ. საქ თავნი ვალი 3599 მ. 97 კ. შესავ. გარდ. 375 მ. 24 კ. სულ 3975 მ. 21 კ.

თურქიასი, მამუკა კოხტას-ძის: ეოჯელის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 2330 კვადრ. საქ. თავნი ვალი 5917 მ. 76 კ შესავ. გარდ. 570 მ. 8 კ სულ 6487 მ. 84 კ.

წერეთლების, გიორგი და დიმიტრი ექვთიმეს-ძეთა და ვასილ სიმონის-ძის: ბაღის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 4 დესიატ. 245 კვადრ. საქ. თავნი ვალი 2029 მ. 78 კ. შესავ. გარდ. 187 მ. 78 კ სულ 2217 მ. 56 კ.

მემკვიდრეთა ჩარექოვისა, ელისაბედ სიმონის ასულის: გეგუთის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქნები სარდაფით და მიწა $103^{1}/_{2}$ კვადრ. საქ. თავნი ვალი 1850 მ. 44 კ. შესავ. გარდ. 320 მ. 9 კ. სულ 2170 მ. 53 კ.

ღუღლაძეთა, სოლომონ ნიკოლოზის-ძის: სამსონ, სპირიდონ, ალექსანდრე და სიმონ კოსტანტინეს-ძეთა: კნიაზის ქუჩაზე ორ სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 23 კვადრ. საქ. თავნი ვალი 2680 მ. 21 კ. შესავ. გარდ. 355 მ. 32 კ სულ 3035 მ. 53 კ.

თავდიდიშვილისა, დავით იოსების ძის და ავსარქისოვისა, ფარსადან იაგორის-ძის: აკოფოვის შესახვევში ერთ სართულიანი ქვითკირის დუქნები და მიწა 146 კვადრ. საქ, თავნი ვალი 7229 მ. 74 კ. შესავ გარდ 91 მ. 4 კ სულ 8130 მ. 78 კ,

ხარაზოვისა, ანნა გაბრიელის ასულის: პოლიციის ქუჩაზე ორი ორ-სართულიანი სახლი და მიწა 300 კვადრ. საქ. თავნი ვალი 3365 მ. 45 კ. შესავ. გარდ 453 მ. 78 კ. სულ 3819 მ. 23 კ.

მემკვიდრეთა ხელთუფლიშვილისა, ბესარიონ ანდრიას-ძის: ორპირის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლები და მიწა 442 კვადრ. საქ. თავნი ვალი 1121 მ. 72 კ. შესავ. გარდ. 215 მ. 37 კ. სულ 1337 მ. 9 კ.

ალიბეგოვთა, ალექსანდრე, იოსებ და ივანე ხუთისოვარის-ძეთა: ბაზრის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 14 კვადრ. საქ თავნი ვალი 908 მ. 27 კ. შესავ. გარდ 99 მ. 84 კ. სულ 1008 მ. 11 კ.

გოგიჩაძისა, სიმონ დიმიტრის-ძის: ინგლისის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 200 კვადრ. საქ. თავნი ვალი 583 მ. 67 კ შესავ. გარდ 55 მ. 28 კ. სულ 638 მ. 95 კ

მურადოვასა, თომა პავლეს-ძის: ბალახვაძის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქნები და მიწა 54 კვად. საქ. თავნი ვალი 972 მ. 96 კ შესავ. გარდ. 109 მ. 74 კ. სულ 1082 მ. 70 კ.

მემკვიდრეთა წერეთლისა, ნესტორ დიმიტრის ძის: თბილისის ქუჩაზე ორ-სართულიანი სახლი და მიწა 900 კვადრ. საქ. თავნი ვალი 4022 მ. 48 კ. შესავ. გარდ. 734 მ. 74 კ. სულ 4757 მ. 22 კ.

გაბუნიასი, ნატალია ქრისტეფორეს ასულის: თბილისის ქუჩაზე ორი ერთ-სართულიანი სახლი—ერთი ქვითკირისა, და მეორე ხისა და მიწა 284 კვადრ. საქ თავნი ვალი 1535 მ. 72 კ შესავ. გარდ 155 მ. 54 კ. სულ 1691 მ. 26 კ.

მემკვიდრეთა თხორჟევსკისა, სიმონ ვასილის-ძის: ალექსანდრეს სლობოდაში ერთ სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 189 კვადრ. საქ თავნი ვალი 697 მ. 67 კ. შესავ გარდ. 69 მ. 44 კ. სულ 767 მ. 11 კ.

საბანეევისა, პეტრე თედორეს-ძის: ბალახვანის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 311 კვადრ. საქ. თავნი ვალი 3348 მ. 79 კ. შესავ. გარდ. 262 მ. 40 კ. სულ 3611 მ. 19 კ.

მებუკისა, ბესარიონ ვასილის ძის ნემეცის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 309 კვადრ. საქ. თავნი ვალი 19799 მ. 24 კ. შესავ. გარდ 1428 მ 56 კ. სულ 21227 მ. 80 კ.

დოლობერიძისა, ნიკოლოს ზაალის-ძის: გეგუთის ქუჩაზე ერთ სართულიანი ხის სახლი და მიწა 213 კვადრ. საქ. თავნი ვალი 2163 მ. 9 კ. გარ. 226 მ. 51 კ. სულ 2389 მ. 60 კ.

მემკვიდრეთა ზაქინოვისა, ნიკოლოზ ენოქის ძის: ქარავან-სარაის ქუჩაზე, ერთ სართულიან ქვითკირის დუქნები, სარდაფით, და მიწა 36 კვ. საქ. თავნი ვალი 8652 მან. 17 კაპ. შესავს. გარდ 503 მან. 15 კაპ. სულ 9155 მან. 32 კაპ.

ზერგელისა, ნატალია მოსეს ასულის: თბილისის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი, სარდაფით, და მიწა 198 კვადრ. საქ. თავნი ვალი 9207 მან. 86 კაპ. შესავ. გარ. 382 მან. 75 კაპ. სულ 2590 მან. 61 კაპ.

ქალანთაროვისა, დავით კარაპეტის ძის: ივანოვის ქუჩის შესახვევში ორ სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 298 კვადრ. საქ. თავნი ვალი 1442 მან. 2 კაპ. შესავს. გარ. 268 მან. 73 კაპ. სულ 1710 მან. 75 კაპ.

მესხისა, მიზარბეგ ფირანის ძის: ივანოვის ქუჩის შესახვევში ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი, სარდაფით, და მიწა 189 კვადრ. საქ. თავნი ვალი 2163 მან. 4 კაპ. შესავ. გარ. 252 მან. 47 კაპ. სულ 2415 მან. 51 კაპ.

მატარაძეთა: მიხაილ, ივანე და იოსებ დიმიტრის ძეთა: სილაზე ერთ სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 138 კვადრ. საქ. თავნი ვალი 865 მან. 18 კაპ. შესავ. გარ. 71 მან. 18 კაპ. სულ 936 მან. 36 კაპ.

ნაიტაკისა, ანნა ბესარიონის ასულის: თბილისის ქუჩაზე ერთ-სართულიანი [illegible] სახლი და მიწა 213 კვ. საქ. თავნი ვალი 288 მან. 38 კაპ. შესავ. გარ. 49 მან. 71 კ. სულ 338 მან. 9 კაპ.

ფიჩხაძისა, მამაჯან ისრაელის ძის: ბაზრის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 9 კვ. საქ. 1 კვ. ალაბი. თავნი ვალი 3460 მან. 92 კაპ შესავ. გარ. 317 მან. 98 კაპ. სულ 3778 მან. 90 კაპ.

